ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის

ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის

საბჭოს სხდომის

ოქმი N13

25.10.2016

ფაკულტეტის საბჭოს დღის წესრიგი:

1. საბჭოს მდივნის ერთჯერადი არჩევა.
2. ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტთა (ბაკალავრიატი/მაგისტრატურა) საუნივერსიტეტო დაფინანსებისათვის კანდიდატების შერჩევის წესის საფუძველზე მაგისტრანტების დაფინანსების შესახებ.
3. ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის 2016 წლის კურსდამთავრებული მაგისტრებისთვის აკადემიური ხარისხის მინიჭება.
4. 2003 წლის კურსდამთავრებულ სოფიო ჭანტურიშვილის განცხადებასთან დაკავშირებით, დიპლომის ფორმასთან განსაზღვრული მონაცემების შექმნა, კერძოდ 2003 წლის ფსიქოლოგიის ფაკულტეტის კვალიფიკაციის მინიჭების ოქმებისა და დიპლომის გაცემის შესახებ ბრძანების შესაბამისობაში მოყვანა.
5. 2016-2017 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში ჩარიცხული დოქტორანტების თემის სავარაუდო სათაურებისა და სამეცნიერო ხელმძღვანელების დამტკიცება
6. დოქტორანტთა სემესტრული საუნივერსიტეტო დაფინანსებისათვის საბუთების შეტანის ვადების განსაზღვრის შესახებ
7. სხვა საკითხები

სხდომას ესწრებოდნენ:

საბჭოს თავმჯდომარე, დეკანი: პროფ. თამარ გაგოშიძე

ფაკულტეტის საბჭოს წევრები :

<u>ფსიქოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო დეპარტამენტი:</u>

პროფესორი:

ლალი სურმანიძე

ასოცირებული პროფესორები :

მანანა მელიქიშვილი, მაია მესტვირიშვილი, ხათუნა მარწყვიშვილი, ლილი ხეჩუაშვილი, ვახტანგ ნადარეიშვილი, ეკატერინე ფირცხალავა, მედეა დესპოტაშვილი, ლუიზა არუთინოვა.

ასისტენტ პროფესორები: თეონა ლოდია, ნინო ლაბარტყავა, ირინა გედევანიშვილი, შორენა მამუკაძე,

<u>განათლების მეცნიერებათა სასწავლო-სამეცნიერო დეპარტამენტი:</u>

პროფესორი: ქეთევან ჭკუასელი;

ასოცირებული პროფესორი :

რუსუდან სანაძე

<u>სტუდენტური თვითმმართველობის წარმომადგენლები:</u>

ფსიქოლოგიის მიმართულება :

სალომე თოფურია

გვანცა სალია

ნიკოლოზ გოძიაშვილი
თამარ ქაადე

საბჭოს სხდომაში მონაწილეობდა სულ 21 წევრი

განიხილეს:

1. ერთჯერადად ფაკულტეტის საბჭოს მდივნის არჩევა.
   ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარემ, პროფესორმა თამარ გაგოშიძემ მოახსენა საბჭოს, რომ ასოცირებული პროფესორი ზაქარია ქიტიაშვილი საპატიო მიზეზის გამო ვერ ესწრება სხდომას და მის მაგივრად ერთჯერადად საჭიროა საბჭოს მდივნის არჩევა. მან საჭოს წევრებს შესთავაზა მაია მესტვირიშვილის კანდიდატურა.

   საბჭომ კენჭი უყარა წარმოდგენილ წინადადებას და დაამტკიცა ერთხმად :

   მომხრე: 21
   წინააღმდეგი: 0
   თავი შეიკავა: 0

2. ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის მაგისტრანტებისათვის საუნივერსიტეტო დაფინანსების განაწილების საკითხი.
   ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარემ, პროფესორმა თამარ გაგოშიძემ საბჭოს შეახსენა 2014 წლის 1 დეკემბრის საბჭოს სხდომის N3 ოქმის დადგენილება იმის შესახებ, რომ სტუდენტების შიდასაუნივერსიტეტო დაფინანსების თანხა განაწილდეს მაგისტრანტებზე. მან აღნიშნა, რომ ახალ სასწავლო წელს საბჭომ ისევ უნდა იმსჯელოს საუნივერსიტეტო დაფინანსების განაწილების საკითხზე.
   აზრი გამოთქვეს: ასოც. პროფესორებმა ხათუნა მარწყვიშვილმა, ლილი ხეჩუაშვილმა, რომელთაც აღნიშნეს, რომ მაგისტრანტების დაფინანსება მნიშვნელოვანია და კარგი იქნება, რომ ეს წესი არ შეიცვალოს.
   პროფესორმა თამარ გაგოშიძემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი იმის სესახებ, რომ საუნივერსიტეტო დაფინანსება განაწილდეს სამაგისტრო დონის სტუდენტებზე ფაკულტეტის საბჭოზე მიღებული წესის შესაბამისად.

   მომხრე: 21
   წინააღმდეგი: 0
   თავი შეიკავა: 0

3. ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის 2016 წლის კურსდამთავრებული მაგისტრებისთვის აკადემიური ხარისხის მინიჭება.

ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარემ, პროფ. თამარ გაგოშიძემ საბჭოს წარუდგინა 2016 წლის კურსდამთავრებული ფსიქოლოგიის დეპარტამენტისა და განათლების მეცნიერებათა დეპარტამენტის მაგისტრანტები, რომელთაც უნდა მიენიჭოს მაგისტრის აკადემიური ხარისხი.

I. სწავლების ძირითადი დარგი - განათლების მეცნიერებები

<u>დიპლომი ჩვეულებრივი</u>

1. ალუდაური ქეთევან
2. ბეღელაძე თამარ
3. ბიწაძე ნათია
4. გედევანიშვილი ქეთევანი
5. გომურაშვილი მაია
6. სინჯარაძე ანა
7. ქადარია ნინო
8. ხუციშვილი-ბერუაშვილი თამთა

სწავლების ძირითადი დარგი - განათლების პოლიტიკა

<u>დიპლომი ჩვეულებრივი</u>

1. სიხარულიძე ქეთევანი
2. ღვედაშვილი ქეთევანი

მიენიჭოთ **გამოყენებითი სოციალური ფსიქოლოგიის მაგისტრის** აკადემიური ხარისხი და მიეცეთ შესაბამისი დიპლომი 2016 წლის კურსდამთავრებულებს:

სამაგისტრო პროგრამა: „გამოყენებითი სოციალური ფსიქოლოგია“

დიპლომი წარჩინებით

1. დედაბრიშვილი სოფო

დიპლომი ჩვეულებრივი

2. ტერუნაშვილი ოლია
3. კობახიძე ნიკოლოზი

მიენიჭოთ **შრომისა და ორგანიზაციის ფსიქოლოგიის მაგისტრის** აკადემიური ხარისხი და მიეცეთ შესაბამისი დიპლომი 2016 წლის კურსდამთავრებულებს:

სამაგისტრო პროგრამა: „შრომისა და ორგანიზაციის ფსიქოლოგია“

დიპლომი ჩვეულებრივი

1. მურვანიძე ელენე
2. ველთაური ანა
3. შაველაშვილი ნატო

საბჭომ კენჭი უყარა კურსდამთვარებული მაგისტრების წარდგინებას და დაამტკიცა ერთხმად :

მომხრე: 21
წინააღმდეგი: 0
თავი შეიკავა: 0

4. 2003 წლის კურსდამთავრებულ სოფიო ჭანტურიშვილის დიპლომის ფორმისთვის განსაზღვრული მონაცემების შექმნა, კერძოდ 2003 წლის ფსიქოლოგიის ფაკულტეტის კვალიფიკაციის მინიჭების ოქმებისა და დიპლომის გაცემის შესახებ ბრძანების შესაბამისობაში მოყვანა.

საბჭოს თავმჯდომარემ, პროფ. თამარ გაგოშიძემ საბჭოს მოახსენა, რომ სოფიო ჭანტურიშვილი 1999 წელს ჩაირიცხა და 2003 წელს დაამთავრა თსუ ფსიქოლოგიის ფაკულტეტი.

2003 წელს (ბრძ.#4/740, $7, 08.07.2003) ივანე ჯავახისვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიის ფაკულტეტის კურსდამთავრებულ სოფიო ჭანტურიშვილს მიენიჭა ფსიქოლოგიის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი, სოციალური ფსიქოლოგიის სპეციალობით.

2003 წლის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის შემაჯამებელ ოქმებში კი, მათ შორის, სოციალური ფსიქოლოგიის სპეციალობის ოქმში, ნაცვლად ფსიქოლოგიის ბაკალავრის აკადემიური ხარისხისა მითითებულია „მიენიჭოს **ბაკალავრის** აკადემიური ხარისხი და მიეცეს შესაბამისი დიპლომი“.

ფაკულტეტი ვალდებულია შესაბამისობაში მოყვანოს 2003 წლის ფსიქოლოგიის ფაკულტეტის კვალიფიკაციის მინიჭების ოქმები და დიპლომის გაცემის შესახებ ბრძანება.

მაშასადამე, უნდა შევიდეს შესწორება 2003 წლის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის შემაჯამებელ ყველა ოქმში, ესენია: სოციალური ფსიქოლოგიის სპეციალობის (რომელშიც ფიქსირდება სოფიო ჭანტურიშვილი), ზოგადი ფსიქოლოგიის სპეციალობის, შრომისა და ორგანიზაციული ფსიქოლოგიის სპეციალობის, ფსიქოლოგიური დიაგნოსტიკა და რეაბილიტაციის სპეციალობის, ასაკობრივი და პედაგოგიური ფსიქოლოგიის სპეციალობის ოქმები. აღნიშნულ ოქმებში ნაცვლად ფსიქოლოგიის ბაკალავრის აკადემიური ხარისხისა დაფიქსირდეს ფსიქოლოგიის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი.

საბჭომ კენჭი უყარა წარმოდგენილ წინადადებას და დაამტკიცა ერთხმად :

მომხრე: 21
წინააღმდეგი: 0
თავი შეიკავა: 0

5.2016-2017 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში ჩარიცხული დოქტორანტების თემის სავარაუდო სათაურებისა და სამეცნიერო ხელმძღვანელების დამტკიცება.

საბჭოს თავმჯდომარემ, პროფესორმა თამარ გაგოშიძემ საბჭოს წევრებს გააცნო სადისერტაციო საბჭოს მიერ წარმოდგენილი დოქტორანტების თემის სავარაუდო სათაურები და სავარაუდო ხემძღვანელები.

სადოქტორო პროგრამა – **„გამოყენებითი სოციალური ფსიქოლოგია“**
სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელები – პროფესორი ნანა სუმბაძე,
ასოც. პროფესორი ანასტასია ქიტიაშვილი

1. ანა მენაღარიშვილი

სამეცნიერო ხელმძღვანელი – პროფესორი ნანა სუმბაძე
სადოქტორო თემის სახელწოდება **“პოლიტიკური ელიტებისადმი ნდობის ფაქტორები”**

2. გიორგი ჭუმბურიძე

სამეცნიერო ხელმძღვანელი – პროფესორი ნანა სუმბაძე
სადოქტორო თემის სახელწოდება - **“კომპიუტერზე დამოკიდებული ქცევის ძირითადი მახასიათებლები”**

3. ერეკლე მაღლაკელიძე

სამეცნიერო ხელმძღვანელი – პროფესორი ნანა სუმბაძე
სადოქტორო თემის სახელწოდება – **“მოქალაქეობის ცნების ძირითადი სტრუქტურული ერთეულები”**

4. **შორენა ხუციშვილი**

სამეცნიერო ხელმძღვანელი – ასოც. პროფესორი ანასტასია ქიტიაშვილი
სადოქტორო თემის სათაური– **“უწყვეტი განათლების მიმართ ზრდასრულთა დამოკიდებულებების და მოტივების კვლევა საქართველოში”**

5. თინათინი ბანძელაძე

სამეცნიერო ხელმძღვანელი – ასოც. პრფესორი ლუიზა არუთინოვი
სადოქტორო თემის სახელწოდება – **„მოზარდთა დელიქვენტური ქცევის ფსიქო-სოციალური მახასიათებლები“**

6. ნინო კაკუბავა

სამეცნიერო ხელმძღვანელი – პროფესორი ნანა სუმბაძე
სადოქტორო თემის სახელწოდება – **“მოქალაქეთა საზოგადოებრივი აქტივობა: წინა პირობები და შედეგები”**

სადოქტორო პროგრამა – **„ფსიქოლოგიური ანთროპოლოგია“ (ინტერდისციპლინური)**

სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელი – პროფესორი ლალი სურმანიძე

1. **რევაზ ხუნწელია**
სამეცნიერო ხელმძღვანელი – პროფესორი ლალი სურმანიძე
სადოქტორო თემის სახელწოდება – **„ცნობიერების შეცვლილი მდგომარეობები და ჯგუფის ქცევა“**

2. **ნათია სორდია**
სამეცნიერო ხელმძღვანელი – ასოც.პროფესორი ხათუნა მარწყვიშვილი
სადოქტორო თემის სახელწოდება – **“შემოქმედებითობის კულტურული ჩარჩო, ადაპტაციის ფორმები და კულტურის ცვლილება“ /განვითარების მექანიზმი ქართულ ხელოვნებასა და ქართველ ხელოვანებში/**

3. **ლალი პერტენავა**
სამეცნიერო ხელმძღვანელი – ასოც. პროფესორი მაია მესტვირიშვილი
სადოქტორო თემის სახელწოდება – “სხეულებრივობის ვიზუალური ასპექტები პოსტსაბჭოთა სივრცეში (ფსიქოანთროპოლოგიური პერსპექტივა)”

სადოქტორო პროგრამა – **„შრომისა და ორგანიზაციის ფსიქოლოგია“**
სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელი – პროფესორი ია კუტალაძე

1. სალომე მხეიძე
სამეცნიერო ხელმძღვანელი – პროფესორი ია კუტალაძე
სადოქტორო თემის სახელწოდება – **,,სტრესის დაძლევის ორგანიზაციული პროგრამების დიზაინი და ეფექტიანობა“**

2. ელენე ოყროშიძე
სამეცნიერო ხელმძღვანელი – პროფესორი ია კუტალაძე
სადოქტორო თემის სახელწოდება **–“,,ლურჯსაყელოიანთა “ და ,,თეთრსაყელოიანთა“ შრომითი განწყოებების შედარებითი ანალიზი “**

3. სოფიო ბახუტაშვილი
სამეცნიერო ხელმძღვანელი – პროფესორი ია კუტალაძე
სადოქტორო თემის სახელწოდება – **“სამუშაო - ოჯახის კონფლიქტით გამოწვეული სტრესი: პიროვნული და ორგანიზაციული პრედიქტორები”**

აზრი გამოთქვეს: პროფესორმა ლ. სურმანიძემ, ასოცირებულმა პროფესორებმა ლ. ხეჩუაშვილმა, მ. მესტვირიშვილმა. მათ აღნიშნეს, რომ გაუგებარია ე. მაღლაკელიძის თემის სავარაუდო სათაური: „მოქალაქეობის ცნების ძირითადი სტრუქტურული ერთეულები“. რადგანაც თემის ხელმძღვანელი არ ესწრებოდა სხდომას, გამოითქვა მოსაზრება დაზუსტდეს თემის სათაური და ელექტრონული ფორმით შეუთანხმდეს ფაკულტეტის საბჭოს.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი: დამტკიცდეს დოქტორანტთა თემების ჩამონათვალი ე. მაღლაკელიძის თემის სათაურის გარეშე და ხელმძღვანელის მიერ დაზუსტდეს სათაური.

მომხრე: 15
წინააღმდეგი: 4
თავი შეიკავა: 1

6.დოქტორანტთა სემესტრული საუნივერსიტეტო დაფინანსებისათვის საბუთების შეტანის ვადების განსაზღვრა.

საბჭოს თავმჯდომარემ, პროფესორმა თამარ გაგოშიძემ საბჭოს წევრებს აცნობა, რომ რექტორის 29.07.15 N126/01-01 ბრძანების შესაბამისად ფაკულტეტზე დოქტორანტებისათვის უნდა გამოცხადდეს სტიპენდიების მისანიჭებელი კონკურსი. მან შესთავაზა საბჭოს სასტიპენდიო საბუთების მიღების ვადა განესაზღვრათ 27 ოქტომბრიდან 8 ნოემბრამდე.

საბჭომ კენჭი უყარა წარმოდგენილ წინადადებას და დაამტკიცა ერთხმად :

მომხრე: 21
წინააღმდეგი: 0
თავი შეიკავა: 0

დაადგინეს:

1. ფაკულტეტის საბჭოს მდივნად ერთჯერადად არჩეულ იქნას ასოც. პროფესორი მაია მესტვირიშვილი
2. სტუდენტთა საუნივერსიტეტო დაფინანსება განაწილდეს სამაგისტრო დონის სტუდენტებზე ფაკულტეტის საბჭოზე დადგენილი წესით. დაევალოს სასწავლო პროცესის მართვის სამსახურს სტუდენტთა რეიტინგის შედგენა.
3. დამტკიცდეს სწავლების ძირითადი დარგების - განათლების მეცნიერებების და განათლების პოლიტიკის კურსდამთავრებულების, ასევე გამოყენებითი სოციალური ფსიქოლოგიისა და შრომისა და ორგანიზაციის ფსიქოლოგიის სამაგისტრო პროგრამის კურსდამთვარებულების წარდგინება მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების თაობაზე.
4. შევიდეს შესწორება 2003 წლის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის შემაჯამებელ ყველა ოქმში, ესენია: სოციალური ფსიქოლოგიის სპეციალობის (რომელშიც ფიქსირდება სოფიო ჭანტურიშვილი), ზოგადი ფსიქოლოგიის სპეციალობის, შრომისა და ორგანიზაციული ფსიქოლოგიის სპეციალობის, ფსიქოლოგიური დიაგნოსტიკა და რეაბილიტაციის სპეციალობის, ასაკობრივი და პედაგოგიური ფსიქოლოგიის სპეციალობის ოქმები. აღნიშნულ ოქმებში ნაცვლად ბაკალავრის აკადემიური ხარისხისა დაფიქსირდეს ფსიქოლოგიის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი.

5. დამტკიცდეს 2016-2017 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში ჩარიცხული დოქტორანტების თემის სავარაუდო სათაურები და

   სამეცნიერო ხელმძღვანელები. ე. მაღლკელიძის თემის სათაური დაზუსტდეს ხელმძღვანელთან შეთანხმებით და საბჭოს მიეწოდოს ელექტრონული ფორმით.

6. დოქტორანტებისათვის საუნივერსიტეტო სტიპენდიის საკონკურსო საბუთების მისაღებად განისაზღვროს ვადა 27 ოქტომბერი- 8 ნოემბერი. დაევალოს სადისერტაციო საბჭოს სამდივნოს და სამეცნიერო განყოფილებასა დოქტორანტთა ინფორმირების ორგანიზება.

სხდომის თავმჯდომარე: პროფესორი
თამარ გაგოშიძე / /

სხდომის მდივანი: ასოცირებული პროფესორი
მაია მესტვირიშვილი / /